

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„რონი“

ს/ნ 445495330

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ქ.ბათუმი

2024 წელი

დირექტორი:

თენგიზ ნაკაშიძე

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

პერიოდი

31,12,204

31,12,023

31,12,2022

ფინანსური მდგომარეობა	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	721 907	564 007	221 476
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები			
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	14 851		359 573
მარაგები	186 508	8 897	-
- მზა პროდუქცია	182 090		
- სხვა	4 418	8 897	
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები	140 980	140 980	140 980
- თვითღირებულების მოდელით	140 980	140 980	140 980
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3 083 629	2 293 243	1 415 523
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	4 147 875	3 007 127	2 137 552

ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	594 507	377 402	146 883
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			12 280
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1 653 878	1 401 237	1 461 508
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	2 248 385	1 778 639	1 620 671

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	784 530	633 131	562 331
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1 114 960	595 357	(45 459)

გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			
სულ საკუთარი კაპიტალი	1 899 490	1 228 488	516 872
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4 147 875	3 007 127	2 137 543

სულ მოკლევადიანი აქტივები	186 508	377 402	581 049
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები			

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ვადები	31,12,204	31,12,2023
ნეტო ამონაგები	1 992 182	2 044 964
საქონლის გაყიდვიდან	1 791 874	1 790 269
მომსახურების გაწევიდან	466	508
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა	199 842	254 187
გაყიდვების თვითღირებულება	(1 166 009)	(1 177 531)
საწყისი მარაგები		
მარაგების შესყიდვა		
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები		
საერთო მოგება	826 173	867 433
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(116 609)	(103 692)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი		
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	(46 019)	(52 370)
ოჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		
სულ საოპერაციო ხარჯები	(162 628)	(156 062)
საოპერაციო მოგება	663 545	711 371
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
მარაგების გაუფასურების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	663 545	711 371
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	663 545	711 371
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		

მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	663 545	711 371
------------------------------------	---------	---------

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1 228 488	516 872
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	7 457	245
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 899 490	1 228 488

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „რონი“ რეგისტრირებულია 2016 წლის 16 ნოემბერს, საზოგადოების საინდენტიფიკაციო კოდია 445495330, საზოგადოების იურიდიული მისამართია: კახეთი დედოფლისწყაროს თემი, სოფელი სამთაწყარო. დამფუძნებელი პარტნიორი და 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი როლანდი ნაკაშიძე-დოლიძე პ/ნ 61008001705. საწარმოს ძირითადი საქმიანობაა:

მრავალწლიანი ნარგავების (კაკალი) მოვლა, მოყვანა და კაკლის რეალიზაცია, რომელიც ხდება საქრველოში.

საწარმოო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს საქართველოში, რამდენადაც საწარმოო საქონელს შეიძენს როგორც საქართველოში ისე ქვეყნის გარეთ, ფულადი სახსრების ხარჯვა ხდება როგორც საქართველოში ისე ქვეყნი ფარგლებს გარეთ.

საწარმოს ფინანსური ანგარიშსწორება ქვეყნის შიგნით ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, ხოლო უცხოელ მომწოდებლებთან უცხოურ ვალუტაში, ოპერაციები საბუღალტრო აღრიცხვის მასალებში ლართან მიმართებაში აღრიცხულია ლარში, ხოლო უცხოურ ვალუტაში ოპერაციის განხორციელებისას ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2024 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამგრძალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრისხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფასს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილი წინა შესადარისი პერიოდის ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2014 წლის პირველი იანვარი

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღრიცხვა

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისდები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდაკლებას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსავლის გადავადების შემთხვევაში, ამონაგების აღიარება ხდება დღევანდელი ღირებულებით, საქონლის გაყდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურეობის გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურეობის ხეშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლის.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურეობის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა ამ პირისაგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების გათვალისწინებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სასრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტის) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლებიდან საქონლის/მომსახურეობის შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურეობიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისათვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, როდესაც ფინანსური აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისათვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით გასაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივებისათვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულების გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყი გაწეული.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშვალეების შეფასება ხდება ადგილზე მოტანამდე გაწეული ყველა დანახარჯების გათვალისწინებით, ამორტიზაციის (ცვეთა) დარიცხვა არ ხდება.

ძირითადი საშვალეების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულება ან ზარალის (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილი წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯის სახით.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში, მომდევნო საანგარიშგებო თარიღისათვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით

შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა იმგვარად რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად როდესაც მიღებული იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კვალიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსთვის, ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

საზოგადოებას გააჩნია საკუთრების სარგებლობაში მიწის ნაკვეთი სადაც აშენებულია აშენებულია ადმისტრაციული შენობა, კაკლის ნაყოფის გაწმენდისა და დახარასხების ქარხანა, გაშენებულია კაკლის ნარგავების ბაღი 18 ჰექტარზე და მოწყობილია საეწევი სისტემა გაფორმებიდან გასულია შვიდი წელი. საიჯარო გადასახადი აისახება ხარჯებში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშვალეების და არა მატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომელიც მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და ხარჯი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეულ ხარჯებში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება იმ დღის მდგომარეობით არსებული ეროვნული ბანკით განსაზღვრული კურსით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსვადდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებებში თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სავალუტო კურსისგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასადო ვალდებულება ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსის (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის: გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურეობის გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა:
კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი. მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: დივიდენდის სახით გაწეული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობუსთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლის.

საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მწვანელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლელის, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენ ღირებულებას.

ძირითადის საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი)

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურეობის ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვების დაუბრუნებადი, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

შენიშვნა 5. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ არმომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენები

შენიშვნა 6. მსს ფასზე გადასლა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინმდებარე ფინანსიური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანტარზე გადასვლის თარიღიდან.

შენიშვნა 7. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 5 აპრილს.

შპს „დამ“

დირექტორი :

თენგი ნაკაშიძე